ლიზი გელაშვილი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

,,Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ყოველთვის იყო ჩემს გეგმებში, სკოლის ასაკიდანვე ვიცოდი, რომ აუცილებლად წავიდოდი საზღვარგარეთ, რათა მიმეღო ეს გამოცდილება. ყველაზე მეტად მსურდა გერმანიაში წასვლა, რადგან გერმანული ენის სერტიფიკატი სკოლაში მივიღე. გადავწყვიტე კავკასიის უნივერსიტეტის არჩევა, რადგან ვიცოდი, რომ ის დამეხმარებოდა ჩემი ოცნების ასრულებაში. განაცხადი ორჯერ გავაკეთე, და მიუხედავად პირველი უარისა, მაინც არ დავნებდი. ის ემოციები კი, რომლებიც თავს დამატყდა კავკასიისგან დამადასტურებელი მეილის მიღებისას, ენით აღუწერელია.

მოსამზადებელი პროცესი მღელვარებითა და ნერვიულობით იყო სავსე. თუმცა, გერმანიაში გატარებულმა ექვსმა თვემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გერმანიაში ჩასვლისთანავე შემიყვარდა დარმშტადი - პატარა, სტუდენტური, წყნარი და ლამაზი ქალაქი. ძალიან მალე ამ ქალაქში ისე ვიგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში, მომეხსნა ყველანაირი მღელვარება და დავიწყე ჩემი ახალი ცხოვრების სტილით ტკბობა. პირველი თვე იყო საორიენტაციო, რაც იმას გულისხმობდა, რომ ვნახეთ გერმანიის უამრავი ადგილი, გავეცანით მის კულტურასა ტრადიციებს. შევიძინე უამრავი მეგობარი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. სწორედ მათ გახადეს ჩემი დარმშტადში ცხოვრების პერიოდი ასეთი დაუვიწყარი, მათთან ერთად ახალი ქვეყნის შეცნობა კი ჩემი ცხოვრების დაუვიწყარ მოგონებად დარჩება.

ამ ექვსი თვის განმავლობაში გავიზარდე როგორც პიროვნულად ისე აკადემიურად. სხვადასხვა წარმომავლობის ლექტორებთან და სტუდენტებთან ურთიერთობამ მომცა საშუალება შემეცნო სხვადასხვა შეხედულებები თუ პერსპექტივები. ჩემი გერმანული საგრძნობლად გაუმჯობესდა გერმანულენოვან სტუდენტებთან ურთიერთობისას. დამოუკიდებლად ცხოვრებამ კი მასწავლა ის, თუ როგორ უნდა გადავჭრა პრობლემები კრიზისულ მდგომარეობაში, მაშინ როცა გვერდით არ გვყავს ოჯახის წევრები და მეგობრები, რომლებსაც მიმართავთ დახმარების სათხოვნელად.

Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რომელმაც დაუვიწყარი მოგონებები მაჩუქა. მადლობელი ვარ ჩემი უნივერსიტეტის, ამ მიღებული ცოდნისთვისა და გამოცდილებისთვის. მადლობა ამ დაუვიწყარი ექვსი თვისთვის. Bis zum nächsten Mal!’’